# სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება #88

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

| | | | |
|---|---|---|---|
| მატჩი | თბ „არმია“ - თბ „ლოკომოტივი“ | | |
| გუნდი | თბ „არმია“ | შეჯიბრი | I ლიგა |
| მატჩის თარიღი | 06/04/2024 | მატჩის ადგილი | თბილისი, ლოკოს ბაზა |
| რეგულაცია | სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები. | | |

| დარღვევის აღწერა | | | |
|---|---|---|---|
| პიროვნება, სტატუსი | წარმომადგენელი, კლუბ „არმია“-ს ჭაბუკთა „ა“ ლიგის გუნდის მწვრთნელი. | დაბადების თარიღი | |
| სახელი, გვარი | ბექა მეკოკიშვილი | | |
| ☐მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება | სრკ-ს სადისციპლინო კომისია | დარღვევა | ☐ აღიარებულია ☐ უარყოფილია |
| დარღვევა | დებულება საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებული კაცთა, ქალთა და ჭაბუკთა შეჯიბრებების ჩატარების შესახებ - 7.3. მასპინძელი გუნდი ვალდებულია: 7.3.3. სტადიონის დაცვასთან ერთობლივად, უზრუნველყოს მატჩის მონაწილეთა უსაფრთხოება (კერძოდ - სათამაშო პერიმეტრის, მატჩში მონაწილე პირების გადაადგილების ზონის და გასახდელების დაცვა). | ☐ წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა<br>თუ „სხვა“ აღწერეთ : | |

| განხილვის დეტალები | | | |
|---|---|---|---|
| განხილვის თარიღი | 10/04/2024 | განხილვის ადგილი | სრკ-ს ოფისი |
| თავმჯდომარე | მირიან თავზარაშვილი | | |
| სადისციპლინო კომისიის წევრები | ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაიძე, ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა | | |
| დამრღვევის დასწრება | ☒ კი(დისტანციური) ☐ არა | სხვა დამსწრეები :<br>☐ კი ☐ არა | |
| დამრღვევის წარმომადგენელი | | აღნიშნეთ ვინ | |
| განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები | მატჩის კიდის მსაჯი, ლუკა ნიშნიანიძის საითინგი;<br>მატჩის IV მსაჯი, გიგა სხილაძის საითინგი; | | |

**ფაქტობრივი მოცემულობები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).**

1. მატჩის IV მსაჯი, გიგა სხილაძის საითინგი;
2. მატჩის კიდის მსაჯი, ლუკა ნიშნიანიძის საითინგი;
3. მატჩის კიდის მსაჯის ლუკა ნიშნიანიძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
4. მატჩის მეთვალყურის ფარსმან გაბაძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
5. სრკ-ს მსაჯთა სამსახურის ადმინისტრატორის, შორენა გამსახურდიას გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
6. სრკ-ს მეთვალყურის ნიკოლოზ აბაშიძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
7. მატჩის ვიდეომასალა;
8. თბ „არმია“-ს წერილი (ელ.ფოსტა) ბექა მეკოკიშვილის თბ „არმია“-ში სტატუსის შესახებ.

**დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება**

თბ „არმია“-ს წარმომადგენელმა, ბექა მეკოკიშვილმა აღიარა სათამაშო პერიმეტრში შესვლა და მის მიერ მატჩის ოფიციალური პირების(მსაჯები) გადაწყვეტილებების საჯაროდ გაპროტესტების ფაქტი.

**ფაქტობრივი მოცემულობებზე მსჯელობა და დარღვევის დადგენა**

1. მატჩის კიდის მსაჯი, ლუკა ნიშნიანიძის საითინგი (ციტირება) - თამაშის მიმდინარეობისას ,როდესაც დარენილი იყო 2-3 წუთი მეორე ტაიმის დამთავრებამდე ბურთი გადავიდა აუტში და გარკვეული მიზეზების გამო გუნდებს შორის იყო გაწევ გამოწევა მე დავრჩი კიდის ხაზთან (გულშემატკივრების და სტაფის მხარეს ვიმყოფებოდი) და ვაკვირდებოდი მოვლენებს რომ რაიმე სერიოზულში არ გადაზრდილიყო. ამ დროს არმიის სტაფის ზონაში მყოფი პიროვნება ზედმესახელად ტაისონა (სახელი და გვარი არვიცი) ჩემგან 1-3 მეტრის მოშორებით ჩემს ზურგს უკან აქტიურად ყვიროდა (მსაჯის ბრალია ეს ყველაფერის , შენ ვერ გააკონტროლე და მაგიტომ ხდება ეს ,და შეიგინა *ლეოო) , რაზეც გამოვტრიალდი და დავინახე რომ ნამდვილად მან დაიყვირად ეს ყველაფერი. იქვე იმყოფებოდნენ მე-4 მსაჯი და კომისრების მეთვალყურე ნიკოლოზ აბაშიძე.
2. მატჩის IV მსაჯი, გიგა სხილაძის საითინგი (ციტირება) - მატჩის მიმდინარეობისას მეორე ნახევრის ბოლოსკენ როდესაც დაახლოებით 3წუთი იყო დარჩენილი დაიწყო არეულობა,მოთამაშეებს შორის რამაც გამოიწივია გარე სიტუაციის არევაც.არმიის სამწვრთნელო შტაბიდან ერთ ერთი პიროვნება სახელად ბექა მეკოკიშვილი შემოვიდა მოედანზე და შეიგინა(დედა შეაგინა მთავარ მსაჯს),ასევე სიტყვა (*ლეო)გამოიყენა მსაჯების მიმართ რაც გავიგონეთ მე და დამხმარე მსაჯმა ლუკა ნიშნიანიძემ.
3. სრკ-ს მსაჯთა სამსახურის ადმინისტრატორის, შორენა გამსახურდიას გამოკითხვის აუდიოჩანაწერი - შორენა გამსახურდიას განცხადებით, მან პირადად ვერ გაიგონა ბექა მეკოკიშვილის მიერ მატჩის ოფიციალურ პირთა სიტყვიერი შეურაცხყოფა. შორენა გამსახურდიამ სადისციპლინო სამსახურს მიაწოდა ამ კონკრეტული ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა.

4. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა - ჩანაწერის მიხედვით, თამაშის დამთავრებამდე ბექა მეკოკიშვილი შესულია სათამაშო პერიმეტრში და ეკამათება მატჩის კიდის მსაჯს, ვიდეომსალაში არ ისმის აღნიშნული კამათის დროს ბექა მეკოკიშვილის ან კიდის მსაჯის მიერ გამოყენებული ლექსიკა, თუმცა აშკარად ჩანს ბექა მეკოკიშვილი მუქარის შემცველი ქმედება (გაქაჩვა/გაწევა მსაჯის მიმართულებით).
5. მატჩის მეთვალყურის ფარსმან გაბაძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი - ფარსმან გაბაძემ დაადასტურა თბ „არმია"-ს წარმომადგენელის, ბექა მეკოკიშვილის მიერ მოედანზე შესვლის და მსაჯების გადაწყვეტილებების საჯაროდ გაპროტესტების ფაქტები თამაშის დროს. მისი განცხადებით მას არ გაუგონია ბ. მეკოკიშვილის მიერ მატჩის ოფიციალური პირების სიტყვიერი შეურაცხყოფა.
6. სრკ-ს მეთვალყურის ნიკოლოზ აბაშიძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი - ნიკოლოზ აბაშიძის განცხადებით თბ „არმია"-ს წარმომადგენელი ბექა მეკოკიშვილი, თამაშის დამთავრებამდე შევიდა მოედანზე, საჯაროდ აპელირებდა მსაჯების გადაწყვეტილებებზე და მან გაიგონა ბ.მეკოკიშვილის მიერ მატჩის ოფიციალური პირების შეურაცხმყოფელი სიტყვები.

სადისციპლინო კომისია განმარტავს, რომ თბ „არმია" აღნიშნულ თამაშზე იყო მასპინძელი გუნდის სტატუსით და დადგენილად ცნო თბ „არმია"-ს მიერ სრკ-ს „დებულება საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებული კაცთა, ქალთა და ჭაბუკთა შეჯიბრებების ჩატარების შესახებ" - 7.3. მასპინძელი გუნდი ვალდებულია: 7.3.3. სტადიონის დაცვასთან ერთობლივად, უზრუნველყოს მატჩის მონაწილეთა უსაფრთხოება (კერძოდ - სათამაშო პერიმეტრის, მატჩში მონაწილე პირების გადაადგილების ზონის და გასახდელების დაცვა) პუნქტის დარღვევა.

სადისციპლინო კომისიამ, მსჯელობის შემდეგ დადგენილ ფაქტობრივ მოცემულუბებზე დაყრდნობით მიიღო

**გადაწყვეტილება**

1. თბ „არმია" დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით.
2. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 21 აპრილის ჩათვლით. (სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 13.7).
3. სადისციპლინო კომისიის მიერ დაკისრებული ფულადი ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ვალდებულ მხარეს ეძლევა გაფრთხილება და მიეცემა დამატებითი 10 (ათი) კალენდარული დღე ვალდებულების შესასრულებლად. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, ჯარიმის გადაუხდელობის ყოველ კვირაზე გუნდს დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა. ჯარიმის გადახდის ვალდებულება ყველა შემთხვევაში რჩება ძალაში.(სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 13.8).

| | | | |
|---|---|---|---|
| თავმჯდომარე<br>ხელმოწერა | მირიან თავზარაშვილი | თარიღი | 11/04/2024 |

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება** [საპელაციო-კომისიის-დებულება.pdf (rugby.ge)]